ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19-68

2017 წლის 10 ოქტომბერი

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** გიორგი ალიბეგაშვილი

TBILISI MUNICIPALITY
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

PROPERTY MANAGEMENT AGENCY

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

| გაცნობის თარიღი | გაცემის თარიღი |
|---|---|
| 18.09.2017 | 18.09.2017 |

| | |
|---|---|
| განხილვის საგანი : | ზონის ცვლილებაზე პოზიციის მოთხოვნა |
| დაინტერესებული პირი : | პაატა აბესაძე 01006001645 |
| წარმოების საფუძველი : | განცხადება №: QN1539742 |
| გასაჩივრების წესი : | გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) |
| აქტის მოქმედების ვადა : | აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე |


სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1539742

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ განიხილა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, პატარიძის ქუჩა 01.17.07.024.060 - საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის AR1534274 განაცხადის შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, მოხდეს ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



პორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) (არსებული ზონა **42** კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (პორექტირებული ზონა **42** კვ.მ.)

**6.** ქ. თბილისში, ისნის რაიონში, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, ვაზისუბანში, **VI** მიკრორაიონში, **II** კვარტალში, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, ვაზისუბნის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: **N01.17.07.024.060**-ის მიმდებარედ), (**42** კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა **1**-სა და სატრანსპორტო ზონა **1**-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 24.08.2017 წლის ოქმი #34), განმცხადებელი.: შ.ცერცვაძე.

**AR1534274.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01171532628**
თარიღი: **02.06.2017**

**ადრესატი:**
შალვა ცერცვაძე
პირადი ნომერი: 01012000622
მისამართი: თბილისი ვაზისუბნის I მ/რ კორ. 13 ბ. 80

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისი, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ რიცხულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: (01.17.07.024.010) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა კოდით (01.00.152) არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

შპს "თბილსერვის ჯგუფი" - მოადგილე -
გარე განათების დარგში

ვეფხვია ბაძაღუა


საქართველო

# ქ.თბილისის მერია

სსიპ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური

სამსახურის უფროსი

## სიტუაციური გეგმა




| | | |
|---|---|---|
| განყოფილ. უფროსი | | |
| მთავარი სპეციალისტი | | |

